



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოქმდი 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.592)

20-27 ივლისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

40 მილიონი ლარი - ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის



„სამუშაოების ნაწილი უკვე დაწყებულია, ნაწილიც სულ მალე დაიწყება. ვამაყობთ, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ამგვარი ბუმი დედოფლისწყაროში არასოდეს ყოფილა და ეს ახალი ხელისუფლების ძალისხმევით კეთდება“

15 ივლისს დედოფლისწყაროს გამგეობაში მორიგი ტრადიციული თათბირი გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი უძღვებოდა. შიოლაშვილის განმარტებით, ამჟამად დედოფლისწყაროში 40 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს.

„სამუშაოების ნაწილი უკვე დაწყებულია, ნაწილიც სულ მალე დაიწყება. ვამაყობთ, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ამგვარი ბუმი დედოფლისწყაროში არასოდეს ყოფილა და ეს ახალი ხელისუფლების ძალისხმევით კეთდება.“ — აცხადებს ირაკლი შიოლაშვილი.

გამგებელმა თვითმმართველობის ინფრასტრუქტურულ სამსახურს აქტიური მუშაობისთვის მადლობა გა-

დაუხადა. თითქმის ყველა სოფლის რწმუნებულმა წყალმომარაგების სფეროში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. ზოგიერთი მათგანი გრაფიკს აპროტესტებდა და წყლის დებეტის არასაკმარისობაზე საუბრობდა, ზოგი კი სხვა პრობლემაზე მიანიშნებდა. ამ საკითხებთან მიმართებაში გამგებელმა აღნიშნა, რომ პრობლემა ყველა სოფელში დგას და მისი მოგვარების გზას მოსახლეობის სრულ გამრიცხველიანებაში ხედავს.

„იმისათვის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში მოსახლეობა წყლის მოხმარების კულტურას მიეჩვიოს და წყლის არამიზნობრივი ხარჯვა თავიდან ავიცილოთ, ვფიქრობ, აუცილებელია სოფლებს თანმიმდევრობით მივყვეთ და ყველა

აბონენტი გამრიცხველიანდეს. ვისაც მრიცხველი არ ექნება, დროებით უნდა შეუწყდეს წყალი. ეს საშუალებას მოგვცემს დედოფლისწყაროში არსებული წყლის რესურსი მაქსიმალურად გავანვიდინოთ ყველა სოფელს. მზად ვართ, წყალმომარაგების კომპანიას თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლებიც ფიზიკურად დავეხმაროთ, რათა პროცესი დაჩქარდეს და უმტკივნეულოდ წარიმართოს. არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ ზოგიერთმა ნათესები მორწყას, ზოგმა კი წყალი საერთოდ ვეღარ მიიღოს. ვიცით, რომ ზოგიერთ სოფლებში გამრიცხველიანებას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მცირე ხარვეზები ახლავს და ყველა აქტიურად უნდა ჩავეერთოთ ამ საქმეში, რომ პროცესი უმტკივნეუ-

ლოდ და მოკლე დროში დასრულდეს. ვფიქრობ, მასიური გამრიცხველიანება ვითარებას ბევრად გააუმჯობესებს. ყველა სოფელში გამართული შეხვედრების დროს სრული გამრიცხველიანების აუცილებლობის საკითხს ვხედავდი და ყველა ამაზე მიუთითებს. ისიც მისასალმებელია, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში და ასევე სამრეკლოსა და ხორნაბუჯში წელს პირველად შევინარჩუნებთ 24 საათიან გრაფიკს. ეს კი იმის ხარჯზე მოხდება, რომ ე.წ. ირაკლის წყაროს ცენტრალურ რეზერვუარში გადაქაჩვა დაიწყეთ და ეს ძალიან დაგვეხმარა. ამისათვის მადლობა მინდა ვუთხრა წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სამსახურს. საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობენ და მადლობას იმსახურებენ.“ — აღნიშნა გამგებელმა.

ენამთის ვენახებს კალია აზიანებს — ასეთი განცხადება სოფელ სამრეკლოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ლევან მაძლარაშვილმა გააკეთა. მისი განმარტებით, ქიმიური ნამლობა კვირაში რამდენჯერმე მიმდინარეობს, კალია იხოცება, თუმცა მავნებელი მწერი სწრაფად გამრავლებას ახერხებს ზოგიერთ ადგილებში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ტერიტორიები ავიაციის გამოყენებითაც შეწამლეს, თუმცა ზოგან ავიაციის გამოყენება ვერ ხერხდება აქ არსებული ნათესების და განთავსებული ფუტკრის გამო. რწმუნებული ამბობს, რომ მოსახლეობა ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვს.

სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელმა მარიამ კიკილაშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო სემესტრში სკოლამ ძალზე ნაყოფიერი მუშაობა

გასწია. მისი განმარტებით, მან პედაგოგიური კოლექტივის საოცარი ენთუზიაზმი და გვერდით დგომა იგრძნო. მან აღნიშნა, რომ პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურება არ გაზრდილა, ამიტომ კარგი იქნება, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა ხელფასების ზრდაზე იზრუნებს. სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელს აუხსნეს, რომ წელს ხელოვნების სკოლის მიმართ თვითმმართველობამ საკმაო ყურადღება გამოიჩინა და იქ არნახული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიგეგმა, ამდენად წელს ხელფასების ზრდაზე საუბარი ვერ იქნება.

ასევე, სხდომაზე აღინიშნა, რომ არჩევნების გამოცხადების დღიდან პრეზიდენტის ინიციატივით ბიუჯეტში ცალკეული ცვლილებების შეტანა იზღუდება, ამდენად, თუ რაიმე გამოსავალი ვერ მოიძებნა, არჩევნების დასრულებამდე თვითმმართველობის ორგანო ადგილობრივ ბიუჯეტში რაიმე სახის ცვლილებას ვერ განახორციელებს. გამგებელმა პრეზიდენტის ამ ნაბიჯს უპასუხისმგებლო უწოდა და აღნიშნა, რომ შესაძლოა, სხვადასხვა აუცილებელი ცვლილებების შეტანა სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად დედოფლისწყაროშიც ნოემბრამდე გაჭიანურდეს. თუმცა, გამგებელი ამბობს, რომ მთავრობა გამოსავლის საძიებლად აქტიურად მუშაობს.

კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ბახუტაშვილმა სხდომაზე აღნიშნა, რომ კულტურის სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების მოლოდინში არიან. ითქვა, რომ ამ კუთხით პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს და რეაბილიტაცია მას შემდეგ დაიწყება.

ილია მარტყოფლიშვილი

ზორბლის ფასი გაიზრდება(!)



მმ. 5

უფასო სამადისინო კვლევა საზღვრისპირა სოფლებში

მმ. 3

ინფექციის წყაროდ რომ არ იქცეს!



მმ. 4

ყველაზე სადღო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვეთაძნ!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

ბიძინა ივანიშვილი - ოქტომბრის საზრესიდეტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში სანიმუშო იქნება

„ოქტომბერში ყველაზე ტიპური, ევროპული არჩევნები ჩატარდება, ეს არჩევნები სანიმუშო იქნება“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ვილნიუსში, ლიტვის პრემიერ-მინისტრთან ალგიდას ბუტკევიჩიუსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველოს ისტორიაში პირველად, საპრეზიდენტო არჩევნებზე სახელმწიფო რესურსები რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ არ იქნება გამოყენებული.

„ვილნიუსში, 27 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება იგეგმება. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი და ეს მიღწევაა. ოქტომბრის არჩევნები, რათქმაუნდა, ამაზე გავლენას მოახდენს. გარანტირებთ თქვენც, ჩემი კოლეგაც დავარწმუნე და ფართო შეხვედრაზეც გავუსვით ხაზი, რომ ოქტომბრის არჩევნები საქართველოს ისტორიაში სანიმუშო იქნება. ჩვენ მოვანერხებთ და პირველად, საქართველოს ისტორიაში სახელმწიფო რესურსები არ იქნება გამოყენებული რომელიმე ერთი კანდიდატურის სასარგებლოდ. საერთოდ ვფიქრობთ, რომ ყველაზე ტიპური, ევროპული არჩევნები ჩატარდება ოქტომბერში და ეს ხელს შეუწყობს ჩვენი შთანხმების ხელმოწერას და შეიძლება მეტიც მივიღოთ არჩევნებიდან გამომდინარე“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

სოფელ ფიროსმანის რწმუნებული ახალი რწმუნებული ჰყავს

სოფელ ფიროსმანის რწმუნებული ამიერიდან ვალიკო აბაშიძე იქნება. მას საჯარო სამსახურში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. პატრონი ვალიკო, ბოლოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა, თუმცა მანამდე 1997 წლიდან 2002 წლის ჩათვლით, სოფელ ფიროსმანის რწმუნებული იყო. ვალიკო აბაშიძე თემურ მურვანიძე შეცვალა.



ბაგვაშვილის პრესამსახური

აბონენტთა მომსახურების ცენტრი ადგილმდებარეობას იცვლის

ს.ს. „კახეთის ენერჯოლისტიკის“ დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურების ცენტრი ადგილმდებარეობას იცვლის. 1 ავგისტიდან ოფისი ყოფილი პოლიციის შენობაში განთავსდება და მოსახლეობას ახალ მისამართზე მოემსახურება. ენერჯოლისტიკის ხელმძღვანელის ივანე გიგოლაშვილის განცხადებით, „ძველ ოფისში საკმარისი ფართი არ გვქონდა, ჩემს თანამშრომლებს რიგში დგომა დიდხანს უხდებოდათ ოთახების დეფიციტის გამო, ამიტომ გადაწყვიტეთ გაფართოება და ოფისის შეცვლა“. ივანე გიგოლაშვილი იმედოვნებს, რომ ახალ ოფისში თანამშრომლებისთვისაც და მომხმარებლებისთვისაც გაცილებით უკეთესი პირობები ექნებათ.

ინგა შიოლაშვილი

თელაწყლის ტერიტორიაზე გზის მოხრეშვა - დაგრძიდება მიმდინარეობს

ზემო მაჩხაანის მოსახლეობის თხოვნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, თელაწყლის გზის მოხრეშვა-დაგრძიდება დაიწყო. აღნიშნული გზა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებში გადის და ზემო მაჩხაანელებისთვის ყოველდღიური მოხმარებისაა. აქამდე თელაწყლის გზა ისე იყო დაზიანებული, რომ ზემო მაჩხაანის მცხოვრებლებს გადაადგილება უჭირდათ.

თელაწყალზე დაახლოებით გზის 10 კილომეტრიანი მონაკვეთის მოხრეშვა დაგრძიდება მოხდება. მუშაობა უკვე დაწყებულია და თითქმის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი უკვე შეკეთებულია. სამუშაოებს შ.პ.ს „სერვისი 2007“ ასრულებს და საჯარაულოდ ერთი კვირის განმავლობაში დასრულდება.

ბაგვაშვილის პრესამსახური

ზარტიამ, რომელიც საზრესიდეტო არჩევნებში ხმების 10%-ს მოაგროვებს, შესაძლოა 1 მილიონი მიიღოს

საარჩევნო სუბიექტმა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 10%-ს მოაგროვებს, შესაძლოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი მიიღოს.

მოქმედი „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებზე 5%-იან ბარიერს გადალახავს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად, არა უმეტეს 1 000 000 ლარს იღებს, აქედან, 300 000 ლარი წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამისთვის არის განკუთვნილი.

აღნიშნული წესი საარჩევნო კანონმდებლობაში დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ჩაიდო და ის მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე ვრცელდებოდა.

„საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტის თანახმად კი, საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფარვისთვის, 1 მილიონ ლარს მიიღებს როგორც საპარლამენტო არჩევნებში 5%-იან ბარიერგადალახული საარჩევნო სუბიექტი, ასევე ის, ვინც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ხმების 10%-ს და მეტს მოაგროვებს.

კანონპროექტის ავტორი ცესკო და ინტერფრაქციული ჯგუფი არიან და ის პარლამენტში უკვე ინიცირებულია. კანონპროექტს თან ერთვის მემორანდუმი, 12 პოლიტიკური გაერთიანების ხელმოწერით.

„საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, არჩეულად ითვლება პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმას არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტი მისცემს. თუ ხმათა საჭირო რაოდენობას ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს, არჩევნების მეორე ტური დაინიშნება.

საავტომობილო გზებზე ურმებით მოძრაობას კანონი დაარეგულირებს

საავტომობილო გზებზე ურმებით მოძრაობას კანონი დაარეგულირებს. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონპროექტით, რომლის საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები უნდა დარეგულირდეს, რეგულირების სივრცეში გადაადგილების ის საშუალებებიც ექცევა, რომელშიც გამწვევი ძალა, პირუტყვია.

კანონში იდება ტერმინი „საჭაპანო ტრანსპორტი“, რომელშიც იგულისხმება თელიანი ან უთვლო სატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე, რომელიც გზაზე მასში შემავალი პირუტყვის მეშვეობით გადაადგილდება.

პროექტით მოთხოვნა-მოვალეობები მძღოლების, მგზავრების და ქვეითთა გარდა, მეხრეებსაც უნდა დაემატოს. კერძოდ, კანონში ჩაინერგება, რომ გზებზე სასაპალნე, შესაბამელ და დასაჯდომ, აგრეთვე გასარეკ პირუტყვის ყველა შემთხვევაში უნდა ჰყავდეს მეხრე, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს მათ მართვას. გზებზე მეხრეობა ნებადართულია 16 წლის ასაკიდან.

კანონპროექტით, გზაზე მოძრაობის პირუტყვის, ასევე საჭაპანო ტრანსპორტის მართვა უნდა განხორციელდეს სავალი ნაწილის კიდესთან ყველაზე ახლო მანძილზე ან გვერდულაზე ერთრიგად, თუკი ის ქვეითს არ აბრკოლებს. გარდა ამისა, კანონში ჩაინერგება, რომ საჭაპანო ტრანსპორტს უნდა ჰქონდეს კონსტრუქციით გათვალისწინებული გამართული სადგომი სამუხრუჭო მოწყობილობა და დაგორების სანინალმდეგო საყრდენები, ასევე კანონით დადგენილი წესით აღჭურვილი უნდა იქნეს მამუქებით.

პროექტით დარეგულირებულია, თუ როგორი წესით უნდა იმოძრაოს საჭაპანო ტრანსპორტმა, მათ შორის გასწრების შემთხვევაში. დარეგულირებულია გზებსა და რკინიგზის ლიანდაგებზე პირუტყვის გადარეკვის წესები.

მეხრეს ეკრძალება: პირუტყვის გზებზე უმეტესად ურეოდ მიტოვება, პირუტყვის გადარეკვა რკინიგზის ლიანდაგებზე, სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა და ასევე ამის გაკეთება დღე-ღამის ბნელ დროს და არასაკმარისი ხილვადობის პირობებში.

კანონპროექტის თანახმად, თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაიღუპა ან დაშავდა პირუტყვი, რომელიც გზაზე უმეტესად ურეოდ, ან პირუტყვის ძოვების ან გარეკვის წესების დარღვევით იმყოფებოდა, მძღოლი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლდება.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა და ის პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

გამგეობის და საკრებულოს აზარატი, შესაძლოა, 30 შტატით განისაზღვროს

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში“ შესაძლოა ცვლილებები შევიდეს. კანონპროექტის თანახმად, გამგეობის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა 30 სამშატო ერთეულით განისაზღვრება.

ცვლილებების მიხედვით, გამგეობისა და საკრებულოს შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა საჯარო მოსამსახურეთა შტატით გათვალისწინებული რაოდენობის 10 %-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ასევე, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25%-ს.

დღეს მოქმედი კანონით, საკრებულოს თავმჯდომარის დისკრეციული უფლება იყო გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა ნახალისება და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ახალი კანონპროექტით ეს უფლება გამგებელს გადაეცემა.

კანონპროექტი, რომლის ავტორი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა, პარლამენტში უკვე ინიცირებულია. კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ კანონპროექტი მუნიციპალიტეტებში სამშატო ერთეულების ზრდის ტენდენციას შეამცირებს.

„ბოლო წლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტებში შეინიშნება ყოველგვარი დასაბუთების, გათვლებისა და არგუმენტაციის გარეშე სამშატო ერთეულების ზრდა. მათი ხელფასები კი მძიმე ტვირთად აწევს ადგილობრივ ბიუჯეტს. კანონპროექტის მიზანია საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია, გამგებებსა და საკრებულოს აპარატებში როგორც მოსამსახურეთა სამშატო წესით გათვალისწინებული, ასევე შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია. კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება და არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება. კანონპროექტი შემუშავებულია და თანხვედრაშია ევროკავშირის დირექტივებთან და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებას“, — აცხადებენ კანონპროექტის ავტორები.

კანონპროექტის შემუშავებაში არ მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

შირაქის დასახლებაში მზის ენერჯის სისტემას ამონტაჟებენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე შირაქის დასახლებაში, რომელიც 30 წელია ელექტროენერჯის გარეშეა დარჩენილი, მზის ენერჯის ბატარიებს ამონტაჟებენ.

პროექტი USAID-მა დააფინანსა და ამისათვის 20 000 დოლარია გამოყოფილი. აქ დასახლებული ყველა ოჯახის ელექტრომომარაგება მზის ენერჯის გამოყენებით მოხდება.

როგორც დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ ხუციშვილმა განუცხადა „შირაქს“, სამუშაოები თვის ბოლოს დაიწყება. ადგილობრივები ელექტროენერჯით რამდენიმე თვეში ისარგებლებენ.

„შირაქის დასახლების მაცხოვრებლებს პირობა მი-



ვეცით, რომ ახალ წელს მათ ოჯახებში ნათურა აინთება,“ — აცხადებენ გამგეობაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე, ე.წ. შირაქის დასახლება, რომელიც რაიონულ ცენტრს ძალზე მოწყვეტილია, მერამდენე წელია დახმარებას ითხოვს. ცივილიზაციის გარეშე დარჩენილი ოჯახები ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკისა და საკვებწარმოების ტერიტორიაზე არიან ჩასახლებულნი და ათეულობით წელია, ელექტროენერჯის გარეშე ცხოვრობენ

ილია მარტყოფლიშვილი

უფასო სამედიცინო კვლევა საზღვრისპირა სოფლებში



„ნითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის“ დედოფლისწყაროს ფილიალი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ უკვე არაერთი უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩატარა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში. ამჯერად „ნითელი ჯვარი“

დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებს- სამთაწყაროს, ფიროსმანსა და საბათლოს სტუმრობდა და სამი დღის განმავლობაში განახორციელა მოსახლეობის უფასო ულტრაბგერითი, ელექტროკარდიოგრაფიული და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. ჰუმანიტარულ აქციაში მონაწილე ექიმები სამი სოფლის ყველა პაციენტს მოემსახურნენ.

როგორც „ნითელი ჯვრის“ წარმომადგენელმა დედოფლისწყაროში ნათელა თამაზაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, „მიუხედავად იმისა, რომ „ნითელი ჯვრის“ დედო-

ფლისწყაროს ფილიალი ჩამოყალიბების პროცესშია, უფასო სამედიცინო კვლევები ბევრ სოფელში ჩატარდა და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან „ნითელი ჯვარი“ მარხაინის ზონაში გეგმავს ჩამოსვლას ჰუმანიტარული მისიით, შემდეგ კი ქალაქ დედოფლისწყაროსაც ეწვევა და ქალაქის მოსახლეობისთვის ცალკე ჩატარებს სამედიცინო გამოკვლევებს. რაც შეეხება საზღვრისპირა სოფლებში განხორციელებულ ჰუმანიტარულ აქციას, მასში მონაწილეობა უპრეცედენტოდ ბევრმა ადამიანმა მიიღო, ეს არცაა გასაკვირი, რადგან სოფლების მცხოვრებთათვის ასეთი აქციები იშვიათი, ხოლო სამედიცინო მომსახურება-საკმაოდ ძვირი სიაშვებია. სტატისტიკისთვის გეტყვით, რომ საბათლოში

176, ფიროსმანში-306, ხოლო სამთაწყაროში 276 პაციენტი იქნა გამოკვლეული. ყველა მათგანს გაენია თერაპევტისა და კარდიოლოგის კონსულტაცია, მათვე მისცეს შესაბამისი დანიშნულება და საჭიროებისამებრ გაიგზავნენ დამატებით გამოკვლევებზე“.

ნათელა თამაზაშვილის ინფორმაციით, ორ სოფელში გამოვლინდა ენდემური ჩიყვი, რაც გენეტიკური ფაქტორითაა განპირობებული, რადგან სამთაწყაროსა და ფიროსმანში მაღალმთიანი აჭარის ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ.

მოსახლეობა, რომელიც ამ ჰუმანიტარული აქციით ძალიან კმაყოფილი

დარჩა, მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას- გამგებელსა და სოფლების რწმუნებულებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „საქართველოს ნითელი ჯვრის“ ერთობლივი პროექტი კი, რომელიც მოსახლეობის უფასო გამოკვლევას ისახავს მიზნად, კვლავ გაგრძელდება.

ინგა შიოლაშვილი



ომის და სამხედრო ძალების ვეტერანები ჯანდაცვის ახალი პაკეტით ისარგებლებენ

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, რომლებსაც ჯანმრთელობის დაზღვევა არ აქვთ, საყოველთაო ჯანდაცვის ახალი პაკეტით სარგებლობა შეეძლება.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას:

ამბულატორიული მომსახურება (გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პირველად, ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმთან მიმართვის საფუძველზე):

ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის:

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციით უზრუნველყოფა (მხოლოდ აცრა-ვიზიტი) და სამიზნე მოსახლეობის ადეკვატური მოცვა;

ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, პრევენციული ღონისძიებები;

დაავადებათა დიაგნოსტიკა, მართვა და რეფერალი საჭიროების შესაბამისად.

ლაბორატორიული გამოკვლევები ექსპრეს დიაგნოსტიკური მეთოდით: შარდის ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში;

ფთიზიატრიული, ფსიქიატრიული და ენდოკრინული პაციენტების გამოვლენა და რეფერალი სპეციალიზებულ დანესებულებებში;

ინკურაბელური და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მეთვალყურეობა.

ამბულატორიულ დონეზე სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო დოკუმენტაციის (მათ შორის, საანგარიშგებო და სტატისტიკური ფორმები) წარმოება, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა (გარდა სამსახურის დასყებლასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

ცნობებისა);

სამედიცინო პრაქტიკის წარმოება ქვეყანაში დამტკიცებული გაიდლაინების და პროტოკოლების და/ან აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, მომსახურება ბინაზე (კომპეტენციის ფარგლებში).

ქვემოთ ჩამოთვლილი ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით: ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი,

გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია - ანაზღაურდება სრულად;

ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დრო (INR), ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი TSH - ანაზღაურდება

ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა).

სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება:

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება - ანაზღაურდება სრულად;

გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინა საოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული

ლიმიტი - 12 000 ლარი - ანაზღაურდება სრულად;

მშობიარობა: ლიმიტი - 500 ლარი, საკეისრო კვეთა: ლიმიტი - 800 ლარი;

სამკურნალო საშუალებების ხარჯები - სამკურნალო საშუალებათა ნუსხის მიხედვით. ანაზღაურდება წლიური ლიმიტის 50 ლარის ფარგლებში, 50%—ის თანაგადახდით.

ამ პროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურებისთვის განეული ხარჯები:

შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით დაფარული ხარჯები და მომსახურებები; თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება;

სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;

საზღვარგარეთ განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;

ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;

სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები;

ვირუსული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;

თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან არა-ლეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, გარდა გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორიული მომსახურების შემთხვევებისა;

ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ეგზოპროთეზირების ხარჯები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის შესაბამისი დადგენილება ძალაში 2013 წლის 15 ივლისიდან შევიდა.

მასალა მოამზადა ინგა შიოლაშვილმა



ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი - ანაზღაურდება სრულად; ექიმის დანიშნულებით, ამბულატორიულ დონეზე შემდეგი სახის ინსტრუმენტული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფია, მუცლის ღრუს ექოსკოპია (სისტემების მიხედვით, ტრანსაბდომინალურად) და გულ-მკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია, ელექტროკარდიოგრაფია, მუცლის ღრუს ექოსკოპია და

სრულად; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმპ-ის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა; გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და

გამოკვლევები: წლიური ლიმიტი - 15 000 ლარი - ანაზღაურდება სრულად;

ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და გამოკვლევები, კერძოდ, ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები (გარდა ჯანდაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ონკოშემატოლოგიური მომსახურებისა): წლიური

ინფექციის წყაროდ რომ არ იქცეს!

გვაქვს ბედნიერება და დედოფლისწყაროელებს დიდი ხნის ოცნება, როგორც იქნა, აგვისრულდა: ქალაქის და მიმდებარე სოფლების - სამრეკლოს და ხორნაბუჯის მაცხოვრებლებს სასმელი წყალი თითქმის სისტემატურად მოგვეწოდება. ამიტომ წყაროს წყლებით ნაკლებად ვსარგებლობთ, მაგრამ წყაროების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები კვლავ ინტენსიურად მოიხმარენ ამ წყალს. იმ შემთხვევაში კი, თუ ცენტრალური წყალსადენიდან წყლის მიწოდება შეფერხდა, მთელი ქალაქი ისევ წყაროებს მიაწყდება ხოლმე. ასე იყო ამასწინათაც, როცა ცენტრალური აგების განმედი და სანიტარული დამუშავების სამუშაოების გამო, წყლის მიწოდება 3-4 დღის განმავლობაში შეწყდა. ყოფილი ლიმონათის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე „ირაკლის წყაროდ“ ნოდებული სამმილიანი წყარო ამასწინათ ცენტრალურ წყალსადენს შეუერთეს და ამ მიერთებით ცენტრალურ ავზში დეპეტი 1000 ტონით გაიზარდა. აქ წყალი ერთ მილზელა მოედინება, ისიც მცირე რაოდენობით. ნავები, სადაც საქონელი ისევ წყურდება, ძალიან დაბინძურებული და ხავს-მოედებულია, ფუნითაა მოფენილი მიმდებარე ტერიტორიაზე. უპატრონობის კვალი აშკარად ეტყობა ირგვლივ ყველაფერს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა წყაროებზეც.

ამ დღეებში რედაქციაში სატელეფონო ზარი შემოვიდა. მოქალაქე იტყობინებოდა, რომ ჯარის წყლის მიმდებარე ტერიტორია იმდენად დაბინძურებულია, რომ ირგვლივ მაცხოვრებლებს სიმყრალის მძაფრი სუნი ანუხებთ, რომ, ამის გამო აქ ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ჩვენ მოვინახულეთ ეს ადგილი და, სიმართლე გითხრათ, დიდხანს გაჩერება გავგიჭირდა. სკოლის და მისი მიმდებარე ქუჩების გასაყართან გადის ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე წყალმომკრები ხაზი, რომელზეც ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ მოქალაქეს მიერთებული აქვს თავისი საკანალიზაციო მილი. სწორედ ამის გამოა, რომ აქ ჩამონადენ წყალს ფეკალური მასის საშინელი სუნი ასდის. წყალი იტბორება, მერე ლელქაში მიედინება, სადაც მოსახლეობის მიერ გადაყრილი უამრავი გამოუდგარი ნივთი, პლასტმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, და, წარმოიდგინეთ, მწყობრიდან გამოსული საბურავებიც კი ყრია. ამ ანტისანიტარიიდან თავდაღწეული „ნაკადული“ გზის სავალ ნაწილზე გადმოდის და თავდაღმართზე დაშვებული, პირდაპირ „ჯარის წყლის“ მილიდან გადმომავალ სასმელი წყლის მდინარეებს უერთდება. ამ სასმელი წყლით კი გარშემო მცხოვრებნი, გამვლელ-გამომვლელნი ინტენსიურად სარგებლობენ: ავსებენ სხვადასხვა ჭურჭელს(იქნება ეს ვედრო, ბოთლი, ბალონი თუ სხვა), რომლის ძირიც, უნდათ თუ არ უნდათ, ამ დაბინძურებულ წყალში ხვდება, რაც აშკარად ქმნის ინფექციის საშიშროებას.

- ერთი და ორი თვე როდია, რაც ასე ვიტანჯებით. წლებია ამ სიბინძურეში და გაუსაძლის მდგომარეობაში ვცხოვრობთ, ისე ყარს აქაურობა, რომ ფანჯრებს ვერც დღისით და ვერც ღამე ვერ ვხსნი. წარმოიდგინეთ, კორპუსში მცხოვრები ადამიანისთვის ეს რამხელა შეზღუდვაა. აივანზე ვერ გამოხვალ, ეზოში ვერ ჩამოხვალ, ფანჯარას ვერ გააღებ, რადგან აუტანელი სუნი დგას. უფროსები ხომ ვიტანჯებით და ვიტანჯებით, ბავშვები ჩვენი ორმაგად მეტად ისჯებიან. წარმოიდგინეთ, ზაფხულის ამ ხვატში ოთახში გამომწყვდეული ბავშვის და მისი ოჯახის წევრების მდგომარეობა. ყველა მთავრობის დროს ყველა ინსტანციამ იცოდა და დღესაც იცის, რა დღეშიც ვართ, მაგრამ დღემდე საშველი არ დაგვადგა, ვერ ვიპოვეთ სამსახური, რომელიც ამ საკითხზე პასუხისმგებლობას აიღებს. ამიტომ თქვენ მოგმართეთ, იქნებ რედაქციამ მაინც გაარკვიოს, ვის ფუნქციაში შედის ამის მოწესრიგება, - გვითხრეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. აქვე მინდა, ერთი შენიშვნაც გავაკეთო და მერე შევუდგე იმის ძიებას, ვინ უნდა მიხედოს ამ საქმეს. სწორედ იქ, სადაც ეს ძვირფასი „ნაკადული“ სათავეს იღებს, რკინის დიდი ურნა დგას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ამ ურნით არავინ სარგებლობს: -ურნა ცარიელია, მის ძირში და გარშემო კი, საყოფაცხოვრებო ანარჩენებთან ერთად სამშენებლო ნარჩენებიცაა დახვავებული. ურნა სავსე რომ იყოს, კიდევ შეიძლება მცირედით მაინც გაამართლო მოქალაქეთა საქციელი, მაგრამ რა ვუნდოთ საქციელს, როცა ურნის ძირში დაყრილია საჭმლის ნარჩენებით სავსე პარკები, რომლებიც, როგორც ჩანს, შორი-

დანვე მოისროლეს და ახლოს მისვლაზე და ურნაში ჩაყრაზე არც დრო და არც ენერგია არ დახარჯეს. ეს უპასუხისმგებლობა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის არცოდნა, ან უგულვებლყოფაა. ესეც მთავრობამ უნდა მოაწესრიგოს?! ასეთ სურათს, სამწუხაროდ, ქალაქის ქუჩებში არცთუ იშვიათად ვხვდებით, რაც ჩვენი „კულტურის“ ერთი უტყუარი ნიშანთაგანია. ეს სირცხვილია!!!

ახლა კი მივუბრუნდეთ საკითხს, თუ ვინ „შეაბამს კატას ეჟვანს“ და ვინ მოაწესრიგებს ამ ანტისანიტარიის ბუდეს.

პირველად ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ბესიკ ცისკარაულს ვენვიეთ. არაო, გვითხრა, ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ჩვენ არც ხარჯები გვაქვს ამისთვის, არც ვალდებულება. ვფიქრობ, წყალკანალს უნდა ეკუთვნოდესო, - გადაგვა-მისამართა. ჩვენც, რწმული და ჭიანჭველისა არ იყოს, ახლა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელს გია გოგილაშვილს მივმართეთ. - ამ საკითხთან შეხება არ მაქვსო, - მანაც იუარა, - ჩვენ „კოლექტორები“ არ გვეხება, ჩვენს კომპეტენციაში წყალმომარაგება და კანალიზაცია შედისო. ამასწინათ, სწორედ ჯარის წყლის გამავალი მილი გაიჭედა და ის გავასუფთავეთ. ზოგადად, მაგ პრობლემის შესახებ ვიცი, მაგრამ რა ეშველება და ვინ უშველის, კონკრეტულად, ვერ გეტყვი. რამდენადაც მახსოვს, რამდენიმე წლის წინ გამგეობის მიერ ტენდერი გამოცხადდა და მგონი ილია ჯინაშვილის ორგანიზაციამ განმინდაო.

ახლა ჯერი გამგეობაზე მიდგა, აქ კი, ისეთი ინფორმაცია მოგვცეს, გულს რომ ეამება და გაუხარდება. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოლომონ ლორაშვილმა განმარტა, ეს პრობლემა მათთვის ცნობილია, ადგილზეც არაერთხელ იყვნენ და შეისწავლეს საქმის არსი, გადაჭრის გზებიც დასახულია.

-მინდა გითხრათ, რომ ანალოგიური სიბინძურის კერაა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზეც, სადაც ყოფილი სამხედროების კორპუსის საკანალიზაციო ავზია ამოვსებული და ამორტიზებულია, აქედან გადმოინადენი ფეკალური მასები ჯანჯარსა და მაცხოვრებელნი იტბორება, ყარს და შემდეგ გზას სწორედ ჯარის წყლის მიმართულებით, სკოლის ქუჩით ჩაედინება სასმელი წყლის მილთან, რაც გაუსაძლის სუნთან ერთად ინფექციის წყაროსაც წარმოადგენს. გაზაფხულდა თუ არა, ამ საკითხის მოგვარების გზების ძიება დავიწყეთ. აღმოჩნდა, რომ ასეთივე გაუსაძლისი მდგომარეობა აქვს საავადმყოფოს, ქალაქის N4 საბავშვო ბაღის, ე.წ. „ბამის“ და „მესეტყეობის“ კორპუსებსაც. ამიტომ ჩვენ საკანალიზაციო რეაბილიტაციის შედარებით ფართო მასშტაბზე ვიმუშავეთ. ერთის მხრივ, გაკეთდება საკანალიზაციო გაყვანილობა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიიდან ჯარის წყლის მიმართულებით, მეორეს მხრივ, შეიკრიბება საავადმყოფოს, N4 საბავშვო ბაღის და ორი კორპუსის კანალიზაციები ერთ სისტემაში და შეუერთდება თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ავზს. ამ სამუშაოებისთვის გამოყოფილია 215 ათასი ლარი. ტენდერი ჩატარებულია, გამოვლენილია გამარჯვებული ფირმა, რომელიც დოკუმენტაციის მოწესრიგებისთანავე, სადღაც თვის ბოლოსთვის უკვე დაიწყებს სამუშაოების შესრულებას. ასევე, ცალკე პროექტია ჯარის წყლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის. განმინდება და აღდგება წყარო, შეკეთდება ნავი, მოიხრეშება და მოასფალტდება მიმდებარე ტერიტორია, რათა ქალაქის ცენტრში გვექონდეს კეთილმოწყობილი წყარო, რომლითაც ისარგებლებენ ჩვენი მაცხოვრებლებიც, ჩამოსული სტუმრებიც და გამვლელ-გამომვლელიც. ყველა ეს სამუშაო, სავარაუდოდ, ნოემბრისთვის დამთავრდება და წერტილი დაესმება იმ სიბინძურეებს, რომელიც წლებია, ასე ანუხებს ჩვენს მოსახლეობას, ჯარის წყლის მიმდებარე ტერიტორიის მოპირკეთებას 35 ათასი ლარი მოხმარდება - გვითხრა სოლომონ ლორაშვილმა.

რედაქცია, თავის მხრივ, თვალყურს მიადევნებს ამ სამუშაოების შესრულებას და იმედს გამოთქვამს, რომ მუნიციპალიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა ამ დანაპირებსაც ხარისხანად და დათქმულ ვადებში მოაგვარებს.

ნაირა გორაშვილი



ხორბლის ფასი გაიზარდა(?!)



„1 ჰექტარი მიწის დამუშავება და მოსავლის აღება 1000 ლარამდე ჯდება, თუ 1 კგ. ხორბალი 40 თეთრი ელირება, ეს ნიშნავს, რომ თვითღირებულების ასანაზღაურებლად ერთ ჰექტარზე ორტონანახევარი ხორბალია საჭირო“

ელიზბარ იმერლიშვილი გამოცდილი ფერმერია. წელს მან საკუთარი ნაკვეთის დამუშავება გერმანულ სპეციალისტებს მიანდო და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით საკმაოდ კარგი მოსავალიც მიიღო - ერთ ჰექტარზე, საშუალოდ, 4 ტონაზე მეტი ხორბალი მოიყვანა.

„გერმანული ტექნოლოგიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მიწა არ იხვდება, მხოლოდ იჩხვება, ანდა მოხვნის შემდეგ აუცილებლად იტკეპნება. ხალხს ჰგონია, რომ ეს პროცედურა გაცილებით ძვირია, მაგრამ დაჩხვვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მოხვნა, ასევე, მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხვნის შემდეგ ბელტი 2-3 თვის მანძილზე არ იძლება და

ტენი, რომელიც მიწაშია, ზემოთ ამოდის. დაჩხვვის დროს კი მიწა ტენს ინარჩუნებს. ჩვენთან კი გვაღვიანი ზონაა და, რა თქმა უნდა, სასურველია, თუ მეტი ტენი შენარჩუნდება. დატკეპნის უპირატესობა კი ისაა, რომ თესლი მალე ღვიდება და ნაკლები ენერჯია ეხარჯება მიწის ზემოთ ამოსვლაში. ჩვენი ტექნოლოგიით დათესილი კულტურა კი, საკმაოდ ღრმადაა მიწის ზედაპირიდან და ამოსვლაში იმდენ ენერჯიას ხარჯავს, რომ უკვე დასუსტებულია. ასეთ ვითარებაში გვაღვი მას გაცილებით იოლად ერევა“-თავის გამოცდილებას გვიზიარებს ელიზბარ იმერლიშვილი და დასძენს, რომ ის მიწის დამუშავების გერმანულ ტექნოლოგიას თავიდან საკ-

მაოდ სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც გარისკა. რისკმა კი აშკარად გაამართლა.

დედოფლისწყაროში წელს ჩვენი რესპოდენტის მსგავსად ყველას როდი გაუმართლა. არადა,

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წელს ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა დახმარების მილიონიანმა პროგრამამ მოსახლეობის ფსიქოლოგიაზე დადებითად იმუშავა და ბევრი გლეხი მიწისკენ შემობრუნდა. ბევრ, წლობით დაუმუშავებელ ნაკვეთში, აგუგუნდა ტრაქტორი და დაითესა მარცვლოვანი კულტურები. ხალხში იმედი გაჩნდა, რომ მიღებული ბარათებით ისინი არა მხოლოდ მიწების დამუშავებას, არამედ თესლის წარმოებასაც შეძლებდნენ, მაგრამ, რეალურმა სურათმა მათი მოლოდინი არ გაამართლა.

როგორც გაზეთმა „შირაქმა“ გაარკვია, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა წელს 1 ჰექტარზე 1-დან 1,200 ტონამდე მერყეობს. გლეხების განმარტებით, ხორბლის დაბალი მოსავალი არასასურველმა გარემო პირობებმა განაპირობა. ასევე, ვერსად ნაუვალთ იმ ფაქტს, რომ

ნაკვეთები წლების განმავლობაში მოკლებულია სასუქით განოციერებას, ფერმერები ხშირად საუბრობენ უხარისხო სასუქსა და შხამ-ქიმიკა-



ტებზე, როცა მათ შესაძენად გადახდილი ფული წყალში გადაყრილია... ამ და სხვა ბევრი ფაქტორის გამო, მიწა მოსავალს აღარ იძლევა, გლეხი კი მუდმივად წუნუნებს, რომ ფინანსური კრიზისის ზღვარზეა,

ამ პირობებში კი ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა შეუქცევად ხასიათს ატარებს. მოკლედ, ყოველ წელს თითქმის ერთსა და იმავე პრობლემებზე საუბრობენ გლეხები და ვნერტ ჩვენც, უფრნალისტები... თითქოს ერთი მოჯადოებული სრის გარშემო ვტრიალებთ და ნლებია, გამოსავალს ვეძებთ...

კიდევ ერთი სადავო საკითხი, მონეული მოსავლის რეალიზაციაა - პროდუქციის მყიდველთა რაოდენობა, მათ მიერ შეთავაზებული ფასი და კითხვა, რამდენად აანაზღაურებს ის მონეული მოსავლის თვითღირებულებას? გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, წელს 1

კგ. ხორბლის ფასი 40 თეთრია. როგორც სოფლის მეურნეობის ექსპერტები აცხადებენ, ასეთი მოსავლისა და ფასის პირობებში ბევრი ფერმერი პროდუქციის თვითღირებულების ანაზღაურებასაც ვერ შეძლებს. „1 ჰექტარი მიწის დამუშავება და მოსავლის აღება 1000 ლარამდე ჯდება, თუ 1 კგ. ხორბალი 40 თეთრი ელირება, ეს ნიშნავს, რომ თვითღირებულების ასანაზღაურებლად ერთ ჰექტარზე ორტონანახევარი ხორბალია საჭირო“.

ფერმერების განმარტებით, ასეთ პირობებში მოგებაზე საუბარი ზედმეტია. გლეხების უმრავლესობა დღესაც კვლავ ხელისუფლების დახმარების იმედად რჩება. თუმცა, თუ გამოცდილი ფერმერებისა და ექსპერტების პროგნოზს დაეყრდნობით, ხორბლის ფასი, დაახლოებით, ერთ თვეში გაიზარდება და საგარაუდოდ, 50 თეთრს მიაღწევს.

ინგა შილაშვილი

უსსო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში მიწის შესყიდვა აკრძალა

საქართველოში, 2012 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდათ, მიწის ყიდვა არ შეეძლოთ. 2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ყველა შეზღუდვა უცხოელებზე საქართველოს მიწის გაყიდვის შესახებ, რის შემდეგაც უცხოელებზე ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი გასხვისდა.

ბოლო პერიოდში უცხოური მედია აქტიურად ამუშავებდა უცხოელი ფერმერების მიერ საქართველოში მიწების მასობრივად შესყიდვას. მედია-საშუალებები წერდნენ, რომ საქართველოში მიწები მოსავლიანი და ძალიან იაფია, რის გამოც მიწა ათასობით უცხოელმა ფერმერმა შეისყიდა. საქართველოს მიწები ინტერნეტის საშუალებითაც იყიდებოდა. YouTube-ზე განთავსებულია ვიდეო, სადაც ინდოეთის მოქალაქე საინი დარჯმიტი თავის თანამოქალაქეებს კახეთში მიწის ყიდვას სთავაზობს. საინი დარჯმიტი ვიდეოში საქართველოში იაფ მუშახელზე და მიწის უპირატესობაზე საუბრობს. მისი თქმით, 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი კახეთში 1000 დოლარი ღირს. საინი დარჯმიტი თანამოქალაქეებს

მოუწოდებს საქართველოში მიწები იყიდონ. YouTube-ზე დარჯმიტის მიერ განთავსებულ ვიდეოებს ათიათასობით მნახველი ჰყავს. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში მიწების შესყიდვის გამო ადგილობრივი ფერმერები მუდმივად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შეიტანა, რომელიც 19 ივლისიდან ამოქმედდა. ცვლილებების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ვერ შეიძენს (ვერც მემკვიდრეობით მიიღებს) უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი და უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ეს უფლება აღნიშნულ პირებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე ჩამოერთვება.

ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობას ასევე დაევა, 2013 წლის 31 დეკემბრამდე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ასევე მიწის კადასტრისა და მიწათმონყობის ერთიანი

სისტემის ორგანიზება უზრუნველყოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ უცხოელებისთვის მიწის შექენის აკრძალვას უარყოფითად აფასებს. ორგანიზაციის განცხადებით, აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურია და საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად იმოქმედებს. არასამთავრობო ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აყენებს და დისკრიმინაციულია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიაჩნია, რომ ახლადშემოღებული შეზღუდვები საკუთრების კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს და შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სერიოზულად შეაფერხოს.

„აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას წინ უსწრებდა საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფის მიერ გავრცელებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიწა უცხოელებზე არ უნდა გასხვისდეს. ამასთანავე, რეგიონებში იყო შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ადგილობრი-

ვი მოსახლეობა არ აძლევდა მიწის დამუშავების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მიწის კადასტრის ორგანიზება ცალსახად დადებითი ინიციატივაა, ვფიქრობთ, 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელთა და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენის აკრძალვა, გაუმართლებელია“, - ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ განცხადებაში.

მისივე თქმით, გაუგებარია, მიწის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას, რატომ იქნება ხელისშემშლელი უცხოელებისთვის და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის მიწის რეგისტრაციის უფლების შენარჩუნება.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ თუ ის სუბიექტები, რომლებსაც ამ კანონის მიღებით უფლება დაერღვათ, სასამართლოს მიმართავენ, შესაძლოა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის საკანონმდებლო ნორმა გაუქმდეს. ორგანიზაციის ცნობით, აღნიშნული შეზღუდვა იმ ინვესტორებსაც შეუქმნის პრობლემებს, რომლებ-

საც გარკვეული ინვესტიციები უკვე აქვთ ჩადებული ქვეყნის ეკონომიკაში და საქმიანობის გაფართოება სურთ.

„უცხოელებისთვის და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის მიწის რეგისტრაციის უფლების ჩამორთმევა ცალსახად უარყოფით გავლენას მოახდენს საინვესტიციო გარემოზე. იმის გამო, რომ ამ უფლების შეჩერების მიზეზი სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაა, შესაძლებელია, რომ უცხოელთათვის მიწის რეგისტრაციაზე დანესხები შეზღუდვა მომავალში კიდევ გადაიხედოს. რაც უცხოელ ინვესტორებს შორის დამატებით გაურკვევლობას შექმნის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ამ ნორმის ამოქმედებაზე უცხოელებს უკვე ექნებათ შექენილი მიწის ნაკვეთები, რომელთა გასხვისებაც მოუწევთ, რაც დამატებით უკმაყოფილებას გამოიწვევს ინვესტორებში“, - აღნიშნულია განცხადებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინფორმაციით, ანალოგიური შეზღუდვები სხვა ქვეყნებშიც არსებობს, თუმცა ეს რეგულაციები ნაკლებად მკაცრია და გარკვეული გამოწვევების შესაძლებლობას ტოვებს.

„ერს ერად აქცევს ენა...“ ქართული ენის პალატა აღდგენის მოლოდინში

ქვეყნის ცხოვრებაში სერიოზულ გარდატეხათა დროს, სხვა გლობალური პროცესების პარალელურად, იცვლება ენობრივი გარემოც. სწორედ ამიტომ, არაერთხელ იდგა დღის წესრიგში ქართული ენის სინამდის დაცვის საკითხი. აღნიშნული ამჟამადაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სწრაფად განვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია,

ლია საინფორმაციო სივრცე და ინტენსიური გარე ურთიერთობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ენის ფორმირებაზე. ამ ყველაფერს ემატება შინაგანი ენობრივი პროცესებიც. ენის სინამდის დაცვის საკითხში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყურნალისტებს. „ყურნალისტების მეტყველებას განსაკუთრე-

ბული ძალა აქვს და თუნდაც უნებლიე მიბაძვის საფრთხეს ქმნის“. მათ საუბარში არაერთი შეცდომა „იპარება“, როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტური. კლიშეებისა და შტამების სწრაფად და უმტკივნეულოდ დამკვიდრების უმთავრესი მიზეზი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინფორმაციის მიღება და გადამუშავებაა, ამიტომ მედიის ენა ამ კუთხითაც საგანგებო მეთვალყურეობას მოითხოვს. თანამედროვე მეტყველებაში მრავლადაა შემორჩენილი რუსული ბარბარიზმები, რაც ჩვენი საბჭოური წარსულის დამსახურებაა, მაგრამ „რუსულად მოწონებულ“ უარესი სხვა რამაა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად ქართული ენა ყველაზე მეტად ინგლისური ბარბარიზმებით ბინძურდება. ამ მხრივ ყველაზე მეტს კი ყურნალისტები და ის პოლიტიკოსები სცოდავენ, რომლებიც მუდმივად ჩანან ეკრანზე... ინგლისური სიტყვების აუცილებლობის გარეშე გამოყენებით ცდილობენ ხაზი გაუსვან თავიანთ განათლებულობას. ასეთი დამოკიდებულება, შესაძლოა, დამლუპველი აღმოჩნდეს ქართული ენისათვის, რადგან უცხოური სიტყვები შეუმჩნევლად ანაცვლებს ქართულს, აქ საუბარი არაა ინტერნაციონალურ სიტყვებზე (კომპიუტერი, პროცესორი და სხვ.), საქმე ეხება ისეთ სიტყვებს, როგორცაა, მაგალითად, პრიორიტეტული (უპირატესი), კრეატიული (შემოქმედებითი), რეზულტატი (შედეგი), ივენთი (ლონისძიება), ექსპერიმენტი (ცდა), აუთლაინი (მონახაზი), მესიჯი (შეტყობინება, გზავნილი), რიმიქი (გადამუშავება), ფემენიტი (მოდის კვირეული), უიქენდი (შაბათ-კვირა) და ა.შ. ქართველი ყურნალისტების უმრავლესობა, როგორც წესი, უპირატესობას უცხოურ სიტყვებს ანიჭებს,



ამიტომ რიგითი მასურებლისთვის, რომელსაც ხელში არ უჭირავს განმარტებითი ლექსიკონი, ბევრი რამ გაუგებარი რჩება, ხოლო მოზარდი თაობა, რომლისთვისაც უპირატეს ენად ისედაც ინგლისური ქცეულა, სულ უფრო „დანაგვიანებული“ ენით იწყებს საუბარს. უცხოური სიტყვების შემოტანის, მათი ქართულ ენასთან შესაბამისობაში მოქცევისა და დამკვიდრების საკითხების გადასაჭრელად ჩვენს ქვეყანაში 1921 წლიდან სხვადასხვა ორგანოები არსებობდა. ბოლოს იყოს ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც 1998 წელს ჩამოყალიბდა და 2004 წელს „ვარდოვანმა ხელისუფლებამ“ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უაპელაციოდ გააუქმა. ენის სახელმწიფო პალატა თვალყურს ადევნებდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებას, აკონტროლებდა ყველა უწყებაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას. სწორედ წინა ხელისუფლების ამ მოქმედების შედეგმა მოიტანა დღეს სხვადასხვა მალაზიებისა თუ სუპერმარკეტების ფირნიშებზე

შეცდომით, ქართულ ენასთან არასესატყვისად გამოკრული სიტყვები თუ წარწერები, გზებზე არასწორი, ბარბარიზმებით დამახინჯებული აბრები, ბილბორდები და ა.შ. დიახ, თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ, ახალ ხელისუფლებას დღის წესრიგში უდგას ენის სახელმწიფო პალატის აღდგენის საკითხი. 8 ივლისს პარლამენტში ჩატარდა კონფერენცია „ქართული ენა 21-ე საუკუნეში“, ხოლო 16 ივლისს თბილისში, მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა გასულითი სხდომა, სადაც უკვე კანონპროექტზე იმსჯელეს ლევან ღვინჯილიას ავტორობით. დიახ, ყველაზე მეტად ახლავს საჭირო ამ ორგანოს არსებობა, რათა გაკონტროლდეს, თუ რა ისმის ყოველდღიურად ტელეეთერიდან, რა ინერება ბეჭდვით მედიამ... მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს უცხო ენების სწავლება და მსოფლიო მასშტაბითაც ერთეული ენები იწყებენ გაბატონებას.


ილია ხარაშვილი



ქედობაც ქართველები ვართ, ქართული აქაც ისმისა...

იმ უამრავ ღონისძიებათაგან, რაც სასწავლო წლის განმავლობაში სკოლებში ტარდება, ერთ-ერთია „ანბანთან გამოთხოვება“. სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის დანყებითი სწავლების უაღრესად გამოცდილი, ენერგიული და პროფესიონალი პედაგოგი ესმა გრიგორიადისი ისე ღელავდა, თითქოს ღონისძიებას პირველად ატარებდა. არადა ის იმდენად მუსიკალურია, რომ არა მარტო თავისი კლასის, სხვა სასკოლო ღონისძიებების მომზადებაშიც აქტიურად მონაწილეობს ხოლმე. ესამ ჩვენივე სკოლა დაამთავრა, ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა, აქ გაიკეთა ბუდე და გაუნყვებელი ჯაჭვითაა დაკავშირებული მშობლიურ სოფელთან. ღონისძიებაზე შესულთ საკლასო ოთახში თვალს ატკბობდა მზრუნველი ხელით შექმნილი „დედაენის“ მოზრდილი მაკეტი, დიდი პედაგოგის-იაკობ გოგებაშვილის სურათი, სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა

აფორიზმი და „დედაენასთან“ გამოსამშვიდობებელი ტექსტი. იქვე მდგარ პიანინოსთან თვით პედაგოგი უკრავდა.



მუსიკალური ღონისძიება გეგონებოდათ, ისე ოსტატურად ასრულებდნენ პატარები მათზე

დაკისრებულ, მრავალფეროვნებით გამორჩეულ ნომრებს: იყო ლექსი, მონტაჟი, ინსცენირება, სიმღერა თუ ცეკვა. ნიგნს, ამ შემთხვევაში იაკობის „დედაენას“. ესათუთებოდნენ მას სიტყვებით, ლექსებით, სიმღერებით, ემშვიდობებოდნენ ცეკვებით, სკეტჩებით. აი, პატარა მაია ხუმარაშვილი მართლაც გულში ჩამწვდომად მღერის: „აქ ხატია ია, იქით ჩიტუნია...“ არანაკლები ხმით ატკბობს მსმენელს ვაჟა ნიკლაური, რომელიც ასრულებს სიმღერას - „ყველა ერთად ვხალისობთ“.

ემოციური გამოდგა კლასის მოცეკვავე „დედუტის“-ბაჩანა ხარხელაურისა ვახტანგ გურას-

პაულის „მთიულური“. მომავალი დეკლამატორები დავინახეთ ნორჩ მკითხველთა-სოფო ხუციშვილისა და ანა ნიკლაურის სახით. განსაკუთრებულ გამოცოცხლებას იწვევდა მასურებელში ცელქი მამუკა მოკვერამილი, რომელიც თითქმის მიძინარეს ჰგავდა, მაგრამ თავისი ნომრის გამოცხადებისთანავე კურდღელივით წამოხტებოდა და მოვალეობას უნაკლოდ ასრულებდა. ლომის წილი დაიდეს ღონისძიების წარმატებაში მარიამ ხუციურაულმა, თორნიკე კურატიშვილმა და ლუკა ბურდულმა. სკოლის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით ღონისძიება წარმატებით დამთავრდა, ისე, როგორც ეს დიდ იაკობსა და მის „დედაენას“ ეკადრებოდა. დამსწრე საზოგადოება უაღრესად კმაყოფილი დარჩა. დიდხანს ისმოდა ოთახიდან მუსიკის ჰანგები.

გულნარა ტვილიანი

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსოს რეზიდენციას ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსოს რეზიდენციას რამდენიმე დღის წინ დავალიანების გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ჟანა დიდუბაშვილის განცხადებით, ეპარქიის დავალიანება 4 000 ლარამდეა.

როგორც ჟანა დიდუბაშვილი აცხადებდა, კომპანია მზად იყო, ეპარქიის ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებინა 6 თვეზე გადაენაწილებინა.

„ეპისკოპოსოს რეზიდენციის დავალიანება 1 300 ლარია. მთლიანად ეპარქიის კი 4 000 ლარამდე. ეპისკოპოსოს რეზიდენციისთვის ელექტროენერგიის შეწყვეტა სპონტანურად არ მომხდარა, ეპარქიის წარმომადგენლები საქმის კურსში იყვნენ. დიდი მონივნებით სთხოვდა ჩვენი შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი, რომ დავალიანება დაეფარათ.

ძალიან ვწუხვართ, რომ ასე მოხდა და რეზიდენციისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა მოგვიხდა, მაგრამ თუ ეპარქია გამოთქვამს სურვილს, შეგვიძლია ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებოდა და 6 თვეზე გადაენაწილებოდა. კომპანია მზად არის, ეპარქიასთან შეესაბამებოდეს ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებოს. როგორც წესი, ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებოდა და 6 თვეზე გადაენაწილებოდა. კომპანია მზად არის, ეპარქიასთან შეესაბამებოდეს ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებოს. როგორც წესი, ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებოდა და 6 თვეზე გადაენაწილებოდა. კომპანია მზად არის, ეპარქიასთან შეესაბამებოდეს ვალის რესტრუქტურის მიხედვით დაევალიანებოს.


ბოდენი, თუმცა ახლა კომპანია თავადაც გაკოტრების რეჟიმშია.

„ეკლესიების თემა ძალიან სათუთია, წლების განმავლობაში „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ თანამშრომლები ყოველთვის იყვნენ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს, დაახლოებით 700 ლარს ვიხდით, მაგრამ მოგვხსენებდათ, კომპანია გაკოტრების რეჟიმშია და ქველმოქმედების შესაძლებლობა არ გვაქვს, თორემ ამ თემაზე ეკლესიას არ შევანუხებდით“, — განაცხადა ჟანა დიდუბაშვილი.

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსოს მელქისედეკი არ აკონკრეტებს, რამ გამოიწვია ეპარქიაში ვალის დაგროვება. მისი თქმით, პრობლემას „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ წარმომადგენლებთან ერთად მოაგვარებს.

ცხადებით, ის პრობლემის მოგვარებას ენერგოდისტრიბუციის წარმომადგენლებთან კონსულტაციის გზით გეგმავდა: „შევხვდები კომპანიის წარმომადგენლებს და გადავწყვეტო, როგორ განვიტარებო მოვლენები, როგორ შევთანხმდებით გადახდის მეთოდზე და ყველაფერს მოვაგვარებთ“.

19 ივლისს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსოს რეზიდენციას ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა. ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ჟანა დიდუბაშვილის განცხადებით, ეპარქიის ელექტროენერგიის 4 000 ლარიანი დავალიანება 6 თვეზე გადაუნაწილდა.



„შავი ზღვის თასი“ „ჩემპიონმა“ მოიპოვა!

დასრულდა 2013 წლის ტრადიციული ტურნირი „შავი ზღვის თასი“ ბათუმში, სადაც საქართველოს გუნდებთან ერთად მეზობელი ქვეყნების სპორტული დელეგაციები იღებდნენ მონაწილეობას. დელეგაციის წარმომადგენლებს „ჩემპიონი“ თამაზ ყარაგუზაშვილის ხელმძღვანელობით შეჯიბრიდან გუნდური პირველი ადგილით დაბრუნდა.

ჩვენმა ბიჭებმა ცხრა ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს და „შავი ზღვის თასი“-ს მფლობელები გახდნენ!!!

ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს: ლაშა ლეკაშვილი, თორნიკე ლეკაშვილი, გიორგი გომეზშიძე, ლაშა ელიაშვილი, ნიკა ფიროსმანაშვილი, ჯემალ ზოიძე, გიორგი ბასილაშვილი, შალვა ხოსიტაშვილი, ზვირაძე ქოქუაშვილი.

მეორე ადგილზე გავიდნენ ზურა ჯეთერიშვილი და ლევან ნიკლაური. ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.



უფლის სახლის მშენებლობა არანახული ენთუზიაზმით მიმდინარეობს

უფლის წყალობით და კურთხევით, სწორედ ღვთის სასწაულებრივი ძალით წინააღმდეგობების დაძლევა 15 ივლისს, დილის 5 საათზე სოფლის ახალგაზრდობის განსაკუთრებული ძალისხმევით დაიწყო სოფელ გამარჯვებაში „წმინდა სამების სახელობის“ ტაძრის საძირკვლის ჩაბეტონება.

140 მ3 მოცულობის საძირკვლი ბეტონის ჩასხმა მოხდა შეუსაბამოდ პატარა ზომის 0.75 მ3 ბეტონმრევი 50 ტონა ცემენტის და 250 ტონა კორქვის ფრაქციის (ხრემი) ხელით ჩაყრა და განაწილება.

„როგორც ტბა ამოაშრო ვედრით“, დაახლოებით ასეთი სიმძიმის ფიზიკურ შრომასთან აიგივებენ მშენებლები და იქ შემსწრე ადამიანები ორი დღე და ღამის შეუჩერებელ და თავდაუზოგავ მუშაობას მთლიანი ტაძრის პერიმეტრის დაწნული არმატურის ჩასაცემენტებლად.

„შეუძლებელი კაცთათვის ღვთისთვის შესაძლებელი“ გახდა, რადგან მთელი სამუშაო მუდმივად შეუჩერებელი გალობებით, პარაკლისების და დაუჯდომლების კითხვით მიმდინარეობდა.

ადგილის გამოყოფიდან არცერთი დღე, თითქმის არცერთი საათი არ მიუტოვებია სოფლის მოძღვარს, მღვდელ-მონაზონ მამა იოანე გვიგვილი ეს წმინდა ადგილი და მუდმივი ლოცვა-ვედრებით ამხნევებდა და აძლიერებდა იქ მყოფებს.

სწორედ უფლის მადლი დატრიალდა და ყველა უნაგაროდ, უსასყიდლოდ სწირავდა ყველაფერს: ფიზიკურ თავდაუზოგავ მუშაობას, საკუთარ ტექნიკას, სანავსს, სამშენებლო ნედლეულს თუ სხვა მატერიალურ თუ ფინანსურ დახმარებას.

ავტოამანის მძღოლებმა ბესო აფთარაშვილი და ტარიელ იოსებაშვილი სამაგალითო ერთგულებით, საკუთარი ტექნიკით და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ყველას მადლიერება დაიმსახურეს.

განსაკუთრებული თავგანწირული მუშაობით გამოირჩეოდნენ ვაჟა გიგაური, რომელიც ელექტრომძღვანელების და ბეტონმრევის შეუჩერებელ მუშაობას ხელმძღვანელობდა და ომარ ნიკლაური, რომელიც ქ. დედოფლისწყაროდან დადიოდა და თავს არ ზოგავდა.

სწორედ უფლის დიდი წყალობით და ნებით ახალკურსდამთავრებულმა სამხედრო მშენებელ-ინჟინერმა ირაკლი ალუღიშვილმა თეორიული ცოდნა მშობლიური სოფლის ღვთის სახლის მშენებლობაზე განამტკიცა და გამოიყენა. მან ელექტროვიბრატორით

ბეტონის შრეებში გადანაწილება და გასწორება მუხლებამდე სამშენებლო ხსნარში მდგომარეობის დაანება.

არ შეიძლება სოფლის ახალგაზრდა მკვიდრის ლევან გიგაურის უდიდესი და შეუფასებელი ღვაწლი არ აღინიშნოს, რომელმაც საძირკვლის დაფინანსება საკუთარ თავზე აიღო და თვითონაც ფიზიკურად იმუშავა.

მამა იოანე და ამ საქმის მხილველი განსაკუთრებით დიდი სიყვარულით აღნიშნავენ თავდაუზოგავ მუშაობას მართლაც რომ გმირი ახალგაზრდების: ლევან და აკაკი ლორაშვილების, ალიკა არაბულის და ნუკრი ქოხაევის. ლაშა კვირიკაშვილის, თემურ ჭინჭარაულის, დავით და ლევან თარხნიშვილების, გიგა სულაშვილის, გოგა ზვიდაურის, მათე გორაშვილის, გიორგი პოპიაშვილის, ლუკა შონიას, ზვირა, ლაშა და მამუკა არაბულეების და გოგა გოგოჭურის.


16 ივლისს, გათენებისას ათი წლის ბორისის და მისი მეგობრების თავდაუ-ყველა და ერთ-ერთ ბერიკაცს ხმაამაღლი ღვთის დიდება აღმოხდა.

არც მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის დავით ფხოველიშვილის უანგარო ღვაწლი დაივნიყებია მამაოს და არც მშენებელი შალვა ალუღიშვილის თუ ვახტანგ კვიციანიშვილის განსაკუთრებული თავდადება.

„უფლის საქმეს გვერდში დაუდგა ხელმძღვანელობა და გამგებმა ირაკლი შიოლაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ნატროშვილმა დახმარება არ დაიშურეს.

სასახლერო პოლიციის ხელმძღვანელობამაც თავისი წვლილი შეიტანა ამ დიდ საქმეში.

მამა იოანეს და ყველა უფლის მხედრის ლოცვა არ მოაკლოს ღმერთმა სოფელ გამარჯვებას და სრულიად საქართველოს.




კუნგ-ფუ-სანდა

საქართველოს პირველობა გაიმართა კუნგ-ფუ-სანდა-ში, სადაც 17 დედოფლისწყაროელი სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდი „ზაქები“ თითქმის მედლით დაბრუნდა ტურნირიდან. პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ: გიორგი, სანდრო ნატროშვილები, თამაზ გონაშვილი;

მეორე ადგილი დაიკავეს: ნიკა ქეცხიშვილი, გელა ჩაფიძე, გიორგი კანდელაკმა, ლუკა მარტყოფლიშვილი, გიგა ნანობაშვილი, ალექო კობტაშვილი, სალომე ბარამაშვილი, თამარ თარაშვილი;

მესამე ადგილი მოიპოვეს გიგა ნატროშვილი, გიორგი რევაზიშვილი და ნოდარ ვარდიაშვილი.

წლის საუკეთესო სპორტსმენებად გიორგი, სანდრო და გიგა ნატროშვილები დასახელდნენ, ხოლო წლის საუკეთესო მწვრთნელად გენადი ნატროშვილი. კუნგ-ფუ-სანდას განვითარებაში აქტიურობისთვის საპატიო დიპლომი გადაეცათ გიორგი ფიროსმანაშვილს, დავით თარაშვილსა და ლევან მარტყოფლიშვილს, რომლებიც სემინარებს გაივლიან და ამის შემდეგ მიენიჭებათ მწვრთნელის კვალიფიკაცია.



გარი ჯანაშვილის კიდევ ერთი ოქრო

ქალაქ ტალინში გაიმართა ევროპის პირველობა ძიუდოში გოგონებს შორის, სადაც 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზემო მარჯაანელმა ძიუდოისტმა მარიამ ჯანაშვილმა ოქროს გზა ისე გაიარა, არც ერთი მოწინააღმდეგისათვის პატარა შანსიც კი არ დაუტოვებია. ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე იპონით მოიგო. შეჯიბრებაში ჯანაშვილი მეორე წრიდან — მერვედფინალიდან ჩაერთო, სადაც თურქი დამლაჩალისკანი ჯერ ორჯერ დააგდო იუკოზე. შემდეგ კი ეფექტური გდებაც შეუსრულა. პოლანდიელ ჯული კემინკსაც იპონით გასცდა და მასაც ორი იუკო აუღო სუფთად ძლევაში. ნახევარფინალში, რუმინელ ტეოდორა ბალასოუს, სულ რაღაც 24 წამში მოუგო. საჩემპიონო გამარჯვება კი, ორი ერთმანეთზე ლამაზი, ვაზარად შეფასებულ გდებად მოიპოვა, პოლანდიელ ფლორ დენ დეკერთან.

უახლოესი მეზობლები: ნოდარ თამაზაშვილი, დალი ქოქუაშვილი, როლანდ ნოსტაშვილი, ზაალ ჯანაშვილი, როლანდ ნატროშვილი, ნუგზარ ჩუთლაშვილი, ალექსანდრე (სამუკა) ბეზრუკი ოჯახებით თანაგრძობას უცხადებენ მაყვალა პაპუაშვილს მეუღლის, შალვა და თამუნა ნატროშვილებს მამის გივი ნატროშვილის გარდაცვალების გამო.

მაია ალადაშვილი

ონურის როლის შემსრულებელმა "შეკირიზადის" გამოკვლევით სხობრებაში ორსული ცოლი მიატოვა

საქართველოში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს თურქული სერიალები. ამჯერად ერთ-ერთი მათგანის, სერიალ "1001 ლამის" მთავარი გმირების შესახებ გაამბობთ.

ხალიტ ერგენი ფილმში მომხიბვლელი, მამაკაცური და ძალაუფლების მქონე ბიზნესმენის, ონურის როლს ასრულებს, რომელსაც ერთი დანახვით შეუყვარდება დამწყები თანამშრომელი შეკირიზადი. მას მშვენიერი ბერგიუზარ კორელი ასრულებს.

სერიალში მათი სიყვარულის ისტორია საკმაოდ დრამატულად იწყება: კომპანიის ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს, 150 000 დოლარის სანაცვლოდ, ერთი ლამის გატარებას მოსთხოვს. არადა, ქალს თანხა ლეიკემიით დაავადებული შვილის გადასარჩენად სჭირდება.

ძალიან ხშირად მსახიობებს შორის რომანი სწორედ გადასაღები მოედნიდან იწყება. აქაც ასე მოხდა. ხალიტსა და ბერგიუ-

ზარს სწორედ ამ ფილმის, "ათას ერთი ლამის" გადაღებისას შეუყვარდათ ერთმანეთი.

თუმცა ამჯერად ამ მშვენიერი ზღაპრის დასაწყისი არც ისეთი ლამაზი იყო. საქმე ისაა, რომ ხალიტ ერგენი, ბერგიუზარ კორელისგან განსხვავე-

ბით, ამ დროს დაოჯახებული იყო. ის 2008 წელს ახალგაზრდა სტუდენტზე, გიზემ სოსალზე დაქორწინდა, თუმცა ქორწინება ბედნიერი არ აღმოჩნდა და წყვილი მალევე დაშორდა ერთმანეთს. სავარაუდოდ, სწორედ ბერგიუზართან გაბმული რო-

მანის გამო დაანგრია ხალიტმა ოჯახი.

ხალიტის პირველი ცოლი მოგვიანებით ალაპარაკდა და განაცხადა, რომ დიდხანს უარყოფდა მოარულ ხმებს მისი ქმრის რომანის შესახებ, მაგრამ ბოლოს, როცა საკუთარი ქმარი მე-

გობრის ქორწილში სხვა ქალთან ერთად ნახა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჭორები სიმართლეს შეესაბამებოდა და ცოლ-ქმარმა განქორწინებაზე შეიტანა განცხადება. ხალიტის გავლენით, ფეხმძიმე გიზემ სოსალმა 1,5 თვის მუცელი მოიშალა.

ასე დაიწყო ხალიტსა და ბერგიუზარს შორის სერიოზული ურთიერთობა. მათი რომანი დასაწყისივე ძალიან შესამჩნევი გახდა. ისინი არ მალავდნენ გრძნობებს, ერთად ჩნდებოდნენ საზოგადოებაში.

ხალიტისა და გიზემის განქორწინებიდან რამდენიმე ხანში, შეყვარებულებმა გადაწყვიტეს, დაეკანონებინათ ურთიერთობა. ხალიტ ერგენისა და ბერგიუზარ კორელის ქორწილი 2009 წელს სტამბულის ერთ-ერთ ფეშენებლურ სასტუმროში გაიმართა.

მალე ბერგიუზარმა ხალიტს ვაჟი გაუჩინა და მან საკუთარი თავი მთლიანად ოჯახს მიუძღვნა.



რამდენად გულწრფელი ხართ? ტესტი

ტესტი გამოავლენს თქვენი გულწრფელობის დონეს. შეკითხვებს უნდა უპასუხოთ „კი“ ან „არა“.

1. გმურთ თუ არა მდიდარი ადამიანების?
2. გძულთ თუ არა რომელიმე თქვენი ნათესავი?
3. ხშირად მგზავრობთ უბილეთოდ?
4. შეგიძლიათ სკანდალის მოწ-

ყობა?

5. იყოფთ თუ არა ხელს ცხვირში?
6. გრვევით თუ არა ფრჩხილების კენჭება?
7. ხშირად ცრუობთ?
8. გინატრიათ თუ არა სხვისი სიკვდილი?
9. გქონიათ კუჭის შეკრულობა?
10. დაგიყრიათ თუ არა ნაგავი ქუჩაში?

11. გქონიათ თუ არა ცეცხლსაღი ლტოლვა თქვენზე სქესის მიმართ?
12. მოგიპარავთ თუ არა რაიმე?
13. იგინებთ თუ არა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე?
14. გილაღობთ თუ არა ოდესმე?
15. ხშირად გაქვთ სკანდალი ოჯახში?

დაითვალეთ შედეგები, ყოველ პასუხზე „კი“ დათვალეთ 2 ქულა,

ხოლო პასუხზე „არა“ 0 ქულა.

0 — 12 ქულა. თქვენ შეგიძლიათ საკუთარი უარყოფითი თვისებების შესახებ ხმამაღლა ისაუბროთ. არ გახასიათებთ თვითკმაყოფილება, პირიქით, ცდილობთ ადამიანებს ისეთი ეჩვენოთ, როგორც სინამდვილეში ხართ. მთავარი ღირსება კი, რაც გაქვთ, გყოფნით ძალა, საკუთარი მეცდომები თავადვე აღიაროთ. მაგრამ, იცოდეთ, არ ღირს ნაკლებ ყურადღების გამახვილება. შეცდომებს ყველა ვუძევებთ, მისი აღიარება კი ყველას არ შეუძლია.

13—22 ქულა. ორიდან ერთია: ან იდეალური ხართ, ან ბოლომდე რაღაცას არ ამბობთ. იქნებ, უბრა-

ლოდ, არ ხართ მზად საკუთარი მეცდომები აღიაროთ. თუ მაინც ჩათვლით, რომ ტესტის შეკითხვებისთვის მაინცდამაინც გულწრფელად არ გიპასუხიათ, გაიარეთ თავიდან.

23—30 ქულა. ალბათ თქვენთვის ტესტის გარემოცვა უთქვამთ, რომ ყოველთვის გულწრფელი არ ხართ. თუმცა, იყოფთ ისეთი, როგორც ხართ, თქვენი პირადი საქმეა. ადამიანი თავად ირჩევს, როგორ იცხოვროს. ალბათ კითხვებზე სწორად არ გიპასუხიათ, რადგან ადამიანი არ შეიძლება იდეალური იყოს. გულწრფელობა თქვენი თვისება არ არის, როგორც ჩანს, ის არც გჭირდებათ.

კუდ-ის ექსტრემალური გოლოზის იხლის

ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში მე ძალოვან სტრუქტურებში ემუშაობდი. ამ სტრუქტურას თავისი შინაგანანესი და პრინციპები აქვს, ასევე დანერგილი და დაუნერული კანონები, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მისმა მუშაკმა. მეც ამ სისტემის მსხვერპლი აღმოვჩნდი და ბერგიუზარ მომიწია ჩემი სურვილის სანაღმდეგოდ წასვლა. ზურაბ ადვიშვილი პირადად იძლეოდა ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა ემოქმედა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს. წინასწარჩვენო პერიოდში ჩემზე განსაკუთრებით დიდი ზეწოლა იყო - რადგან დედოფლისწყაროელი ვიყავი, არავის სჯეროდა, რომ ირაკლი ლარიბაშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ წავედოდი. ამიტომ ხშირად მიბარებდნენ ზედა ინსტანციებში და სხვადასხვა სახის დაჯილდოებას მაძლევდნენ. ამის გამო დღემდე მქენჯნის სინდისი და სიძულვილი მამოძრავებს ქვეყნის პრეზიდენტის, ვანო მერაბიშვილის, ლალიაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების მიმართ, ვინც ამ სისტემის ჩამოყალიბებას შეუნყო ხელი და ჩაგვადენინეს ის ცოდვები, რომლებიც რამდენად მოგვეტყუება, ჯერ არ ვიცი. ჩემი სურვილის წინააღმდეგ მომიწია წასვლა წინასწარჩვენო პერიოდის დროსაც, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ლიად ებრძოდა „ქართულ ოცნებას“. მე მიხდა, ამ წერილის საშუალებით მოვიხილო ის ცოდვა, რომელიც ნებისით თუ უნებლიეთ ჩამიდენია, განსაკუთრებით ეს ეხება ბატონ თამაზ თამაზაშვილს. მინდა, მას და მთელ მის ოჯახს საჯაროდ მოუხადო ბოდიში იმ ტკივილისთვის, რაც მათ წინასწარჩვენო პერიოდში დაუმსახურებლად გადაიტანეს.

ულოცავთ! ირაკლი მანარაშვილს

ბებოს სიხარულო და ბებოს მერცხალო, ბებოს ნამალო და ბებოს სიყვარულო ირაკლი! გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლეს!

ბებოს გულის ვარდო, უკვე დიდი ბიჭი ხარ ჩემო ვაჟკაცო, გისურვებ წარმატებულ სწავლა-განათლებას, სორტის სიყვარულს და გაიზარდე სამშობლოს გულანთებული ვაჟკაცი.

შენი ციცი ბებო ციცო დარჩინაშვილი

პატივისცემით, ილია ნატროშვილი, კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი

მადლიერება

გამარჯვების ბიბლიოთეკა, წლებია, ახალი წიგნებით აღარ შევსებულა. მისი მდიდარი ფონდი წლების მანძილზე გადარბდა, შექმნა ახალი გამოცემების დეფიციტი. სულ ახლახანს „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი“ -კავკასიური სახლის“ წარმომადგენელმა ნატო გელაშვილმა 75 წიგნი უსასყიდლოდ გადასცა სოფლის ბიბლიოთეკას და ახალ თაობას, მათ, ვისაც წიგნის კითხვის სურვილი კიდევ აქვს, მნიშვნელოვნად გაუმრავალფეროვნა წიგნების არჩევანი. ქალბატონი ნატო გელაშვილი და მისი მეუღლე ვფეხია ტოკლიკიშვილი, წლებია, დედაქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ მშობლიური სოფლის სიყვარული ულ მუდამ თან სდევთ. ცდილობენ, შესაძლებლობის გამოენისთანავე რაიმეთი შეენიონ სოფელში მიმდინარე დადებით საქმეებს. ასე იყო ამჯერადაც. სოფლის და აქტიური მკითხველის სახელით მადლობას ვუხდით ქალბატონ ნატო გელაშვილს ქველმოქმედებისთვის.

სოფელ გამარჯვების რწმუნებული ბიზ ჭინჭარაშვილი, ბიბლიოთეკარი ანა ბურაშვილი

ყურადღება!
მოხუც ქალბატონს ესაჭიროება სადღეღამისო მომვლელობა. მსურველები დაგვიკავშირდით: 599 28 32 52

იყიდება!
სასწრაფოდ იყიდება ქ. დედოფლისწყაროში, ფიროსმანის ქუჩაზე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სუფთა რემონტით, ასფალტის ეზოთი, დიდი მიწის ნაკვეთით. სახლი არის მყარი. ფასი 15000 \$. მსურველები დაგვიკავშირდით: 557 19 45 44 ქეთი; 557 70 47 75 ზურა.

იყიდება!
ორსართულიანი, კეთილმოწყობილი (ცენტრალურ კანალიზაციაში ჩართული) საცხოვრებელი სახლი ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში. მისამართი: 9 ძმის ქუჩა №6 ფასი 35 000 \$. მსურველები დაგვიკავშირდით: 598 47 56 21

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს ნ ყ ა რ ო											
ორშაბათი 22.07	სამშაბათი 23.07	ოთხშაბათი 24.07	ხუთშაბათი 25.07	პარასკევი 26.07	შაბათი 27.07	კვირა 28.07							
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე						
23°	22°	23°	22°	25°	24°	26°	24°	22°	20°	20°	17°	22°	21°

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს უპასუხებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრინაშვილი, ილია მარტყოფილი (ჟურნალისტიკა); ელზა ხარაშვილი (სტილისტი-მხევერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფოტო-მხევერი); მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.